სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

ა(ა)იპ „საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი"

ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმი

14 მარტი, 2019 წელი

უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და პრაქტიკის ინტეგრირების, ერთობლივი კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და ა(ა)იპ „საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი" თანხმდებიან თანამშრომლობაზე.

ურთიერთანამშრომლობა ხელს შეუწყობს:

- შემოქმედებითი მუშაობისა და აკადემიური განათლებისათვის აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ეფექტურად გამოყენებას;
- სტუდენტთა პროფესიული პრაქტიკისათვის ხელშეწყობას;
- ცალკეულ მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადებაში თანამშრომლობასა და კონსულტაციების გაწევას;
- ერთობლივი პროექტების შემუშავებასა და განხორციელებას.

მუხლი 1

1.1. მხარეები აწარმოებენ შეთანხმებულ პოლიტიკას ერთობლივი პროექტების მომზადების, განხორციელებისა და აუცილებელი რესურსების მოზიდვის მიზნით.

1.2. მხარეები გაუწევენ ერთმანეთს კონსულტაციებს და თავიანთი უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებში განახორციელებენ ერთობლივ სასწავლო სემინარებსა და კურსებს.

1.3. მხარეები ურთიერთშეთანხმებით მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცესში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება და სხვა.) აკადემიური პროგრამების პრაქტიკასთან დაახლოებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბების მიზნით.

1.4. საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტუდენტების პრაქტიკის გავლას.

1.5. საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი თავისი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს უნივერსიტეტის მისიის, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში.

მუხლი 2

2.1. წინამდებარე შეთანხმებაში თითოეულ მხარეს შეუძლია ცვლილებებისა და დამატებების შეთავაზება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

2.2. მხარეთა შორის ურთიერთობათა სპეციფიკა, რომელიც არაა განსაზღვრული მემორანდუმში, რეგულირდება ორმხრივი შეთანხმებით.

2.3. მხარეები აძლევენ ერთმანეთს გარანტიას, რომ ისინი სრულად და კეთილსინდისიერად შეასრულებენ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ყველა პირობას.

მუხლი 3

3.1. წინამდებარე მემორანდუმის შესრულებასთან დაკავშირებული სადავო საკითხები გადაიჭრება კონსულტაციების და მოლაპარაკების გზით.

3.2. ეს მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ რაიმე სხვა გადაწყვეტილების მიღებამდე.

3.3. ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთა თითო პირები გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი	ა(ა)იპ „საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრის" თავჯდომარე
_____ მ. ჭიჭილეიშვილი	_____ ზ. ელიზიანი
საქართველო, ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N 37 ტ. +995(422) 27-86-67; +995(422) 27-98-95; ელ. ფოსტა: info@batu.edu.ge ვებ.გვ. batu.edu.ge	საქართველო, ბათუმი შავშეთის ქ. N 19 ტ. +995 599 482181 ელ. ფოსტა: ibdipc@gmail.com ვებ.გვ. www.ibdipc.org